

შპს „ბაუმ კონსტრაქშენ“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს ბაუმ კონსტრაქშენ

სარჩევი

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები.....	6
1. კორპორატიული ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	10
5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13
6. ფინანსური ხარჯი	14
7. ძირითადი საშუალებები	11
8. მარაგები.....	12
9. გაცემული სესხები	12
10. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან.....	12
11. გადახდილი ავანსები	12
12. საწესდებო კაპიტალი	10
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13
14. მიღებული სესხები	12

შპს „ბაუმ კონსტრაქშენ“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

		2024	2023	2022
ამონაგები	14	12,276,021	1,657,034	2,514,107
თვითღირებულება		(9,292,124)	(1,140,125)	(2,175,088)
საერთო მოგება		2,983,897	255,782	339,019
სხვა შემოსავლები	15	19,440	17,971	24,511
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	16	(1,941,811)	(466,090)	(474,681)
მიწოდების დანახარჯები	17	(12,425)	(6,836)	(2,692)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	18	(43,928)	(12,933)	232,404
სხვა ხარჯები	19	(4,800)	(4,400)	(4,800)
საოპერაციო მოგება		1,000,373	(216,505)	113,760
ფინანსური შემოსავალი	20	64,338	92,201	114,461
ფინანსური ხარჯი	20	(178,728)	(213,823)	(244,132)
		(114,390)	(121,622)	(129,671)
ფინანსური ხარჯი - წმინდა				
მოგება დაბეგვრამდე		885,983	(338,127)	(15,911)
მოგების გადასახადის ხარჯი				-
წმინდა მოგება		885,983	(338,127)	(15,911)
სხვა სრული შემოსავალი:				
შემოსულობა მიწისა და შენობების				
გადაფასებიდან,				
გადასახადების გამოკლებით				
მთლიანი სრული შემოსავალი		885,983	(338,127)	(15,911)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 31 მარტს _____



დირექტორი
დავით ჯანაშვილი



4-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშის განუყოფელ ნაწილს

შპს „ბაუმ კონსტრაქშენ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		12/31/2024	12/31/2023	12/31/2022
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	222,882	32,265	102
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	10,766,605	7,046,409	5,655,594
მარაგები	8	1,026,036	714,679	628,831
მისაღები დივიდენდები და პროცენტები	9	775,709	712,476	884,267
		12,791,233	8,505,830	7,168,794
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	307,685	26,867	59,750
		307,685	26,867	59,750
მთლიანი აქტივები		13,098,918	8,532,697	7,228,544
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	10	1,094,562	1,706,464	1,317,980
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13	4,590,602	580,446	109,701
საგადასახადო ვალდებულებები		152,749	55,643	15,482
გადასახდელი პროცენტი		1,107,562	890,873	680,122
		6,945,474	3,233,425	2,123,285
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	10	1,964,760	1,882,580	1,891,400
		1,964,760	1,882,580	1,891,400
მთლიანი ვალდებულებები		8,910,234	5,116,005	4,014,685
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		540,960	540,960	
გადაფასების რეზერვი				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		3,647,724	2,875,732	3,213,859
		4,188,684	3,416,692	3,213,859
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		13,098,918	8,532,697	7,228,544

შპს „ბაუმ კონსტრაქშენ“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2023 წლის 1 იანვარი	-	-	3,213,859	3,213,859
წმინდა მოგება				
სხვა სრული შემოსავალი	-		(338,127)	(338,127)
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(338,127)	(338,127)
გაცემული დივიდენდი				
საწესდებო კაპიტალის ზრდა	540,960			540,960
2023 წლის 31 დეკემბერი	540,960	-	2,875,731	3,416,691
წმინდა მოგება	-	-	885,983	885,983
სხვა სრული შემოსავალი	-		(113,990)	(113,990)
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	771,993	771,993
გაცემული დივიდენდი				
საწესდებო კაპიტალის ზრდა				
2024 წლის 31 დეკემბერი	540,960	-	3,647,724	4,188,685

1. *კორპორატიული ინფორმაცია*

„ბაუმ კონსტრაქშენ“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. იგი დაარსდა 2016 წლის 1 ივლისს და არსებობს როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404516216.

ძირითადი საქმიანობა. შპს „ბაუმ კონსტრაქშენ“-ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო, სარემონტო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევა.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ჭანტურიას ქ., №12/10

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის მეწილეს წარმოადგენს ფ.პ თორნიკე ჯანაშვილი, 01008028282

ინვესტიციები: შპს „ბაუმ კონსტრაქშენ“-ი არ ფლობს ინვესტიციებს სხვა კომპანიებში.

2. *მომზადების საფუძველი*

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით. კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამოწვევების გარდა, მსს ფასს-ით მოითხოვება 2024 წლის 31 დეკემბერს მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტიული გამოყენება საწყისი, მსს ფასს-თან შესაბამისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის 2018 წლის 1 იანვრისთვის და ყველა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, რომელიც წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2024, 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის, მდგომარეობით, 2024, 2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას და ამავე პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას. კომპანიამ გამოიყენა საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის დაშვებული გამოწვევისი და არ წარადგენს ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანიას არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება გარდა 2018 წელს მომზადებული წინასწარი ანგარიშგებისა რაც წარმოადგენდა მსს ფასს-ზე გადასვლის პროცესის შემადგენელ ნაწილს. შესაბამისად, ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა გავლენა მოახდინა ბუღალტრული აღრიცხვის ადრინდელი საფუძვლებიდან მსს ფასს-ზე გადასვლამ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე. მსს ფასს-ით მოითხოვება სტანდარტზე გადასვლის თარიღით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

წარდგენა და მოიცავს გარკვეულ სავალდებულო გამონაკლისებსა და მსს ფასს-ის რეტროსპექტიული გამოყენებიდან ნებაყოფილობით გათავისუფლებებს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს

პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის შპს „ბაუმ კონსტრაქშენ“-ის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. კომპანიას ასევე გააჩნია უცხოურ ვალუტაში ოპერაციები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

- აღიარება და შეფასება. ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- შემდგომი დანახარჯები. შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკეაქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებულიაქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- ცვეთა. აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში

მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5-15
კომპიუტერული ტექნიკა	3-10
მანქანა-დანადგარები	10-20
ავეჯი და საოფისე ინვენტარი	5-10

არამატერიალური აქტივები.

- აღიარება და შეფასება. არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

- ამორტიზაცია. ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ისიმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა განაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორემხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილებისმიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის

ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი.

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა,

თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურწელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

- საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

საგადასახადო აქტივი

2016 წლის 1 იანვარიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად, ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე. შესაბამისად, საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილია ნეტო თანხით.

შენიშვნა 3

ძირითადი საშუალებები

	ინსტრუმენ ტები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილო ბა	მანქანა- დანადგარე ბი	კომპიუტერუ ლი ტექნიკა	სატრანსპორ ტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2023	2,751	6,357	2,809	13,298	1,653	26,867
შემოსვლა	4,074	1,403	49,864	3,729	261,121	320,192
გასვლა						
31 დეკემბერი 2024	6,825	7,760	52,673	17,027	262,774	347,059
ცვეთა და გაუფასურება						
31 დეკემბერი 2023	-	-	-	-	-	-
პერიოდის ცვეთა	(3,440)	(2,713)	(5,070)	(8,162)	(19,990)	(39,374)
გაუფასურება						
გასვლა						
31 დეკემბერი 2024	(3,440)	(2,713)	(5,070)	(8,162)	(19,990)	(39,374)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2023	2,751	6,357	2,809	13,298	1,653	26,867
31 დეკემბერი 2023	3,385	5,047	47,604	8,865	242,784	307,685

ცვეთის მეთოდი: წრფივი

31.12.2024

ნეტო საბალანსო

ღირებულება:

307,685

შენიშვნა 6**ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები**

	2024	2023
ნაღდი ფული სალაროში	-	-
ეროვნული ვალუტა ბანკში	221,227	31,724
უცხოური ვალუტა ბანკში	1,656	541
სულ	222,882	32,265

შენიშვნა 7**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	3,697,482	4,126,179
გადახდილი ავანსები	2,074,933	327,693
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი	751,028	722,986
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი	4,243,162	1,869,552
სულ	10,766,605	7,046,409

შენიშვნა 8**მარაგები**

	2024	2023
ნედლეული და მასალები	1,026,036	426,955
დაუმთავრებელი წარმოება	-	287,724
მზა პროდუქცია		
სულ	1,026,036	714,679

შენიშვნა 9**მისაღები დივიდენდები და პროცენტები**

	2024	2023
მისაღები დივიდენდები		
მისაღები პროცენტები	775,709	712,476
	775,709	712,476

შენიშვნა 10**სესხები**

	2024	2023
გრძელვადიანი		
საბანკო სესხები	-	-
გრძელვადიანი სესხები	1,964,760	1,882,580
ფინანსური იჯარის ვალდებულება (გრძელვადიანი ნაწილი)	-	-
სულ სესხები	1,964,760	1,882,580

მოკლევადიანი		
მოკლევადიანი სესხები	1,094,562	1,706,464
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი		
	1,094,562	1,706,464
სულ სესხები	3,059,322	3,589,044

შენიშვნა 13

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024	2023
სავაჭრო ვალდებულებები	4,590,602	580,432
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი	-	14
სულ	4,590,602	580,446

შენიშვნა 14

ამონაგები

	2024	2023
საქონლის გაყიდვა	-	-
მომსახურების გაწევა	12,276,021	1,657,034
სულ	12,276,021	1,657,034

შენიშვნა 15

სხვა შემოსავალი

	2024	2023
მეკავშირე საწარმოდან მიღებული დივიდენდები	-	-
არასაოპერაციო მოგება	19,440	17,971
სულ	19,440	17,971

შენიშვნა 16

ზოგადი და ადმონისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(1,710,197)	(333,628)
სხვა ხარჯი	(44,665)	(51,556)
სამეურნეო ხარჯი	(10,551)	(436)
საწვავი	-	-
იჯარის ხარჯი	(66,330)	(25,080)
ოფისის ხარჯი	(5,196)	(2,190)
კომუნიკაციის ხარჯები	(150)	-
დაზღვევის ხარჯი	(47,398)	(4,552)

რემონტი	(5,823)	(14,699)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(12,127)	-
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(39,374)	(33,950)
ჯანდაცვის და უსაფრთხოების ხარჯი	-	
სულ	(1,941,811)	(466,090)

შენიშვნა 17

მიწოდების ხარჯები

	2024	2023
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯები	(12,425)	(6,836)
სულ	(12,425)	(6,836)

შენიშვნა 18

სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2024	2023
საკურსო სხვაობით მიღებული საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	(43,928)	(12,933)
სულ	(43,928)	(12,933)

შენიშვნა 19

სხვა ხარჯები

	2024	2023
ავტომაქანების გამოყენება პ/ს	(4,800)	(4,400)
სულ	(4,800)	(4,400)

შენიშვნა 20

ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

ფინანსური ხარჯი	2024	2023
საპროცენტო ხარჯი	(178,728)	(213,823)
სულ ფინანსური დანახარჯები	(178,728)	(213,823)

ფინანსური შემოსავალი	-	-
საპროცენტო შემოსავალი	64,338	92,201
სულ ფინანსური შემოსავალი	64,338	92,201
ნეტო ფინანსური დანახარჯები	(114,390)	(121,622)